



დღეს საია ბათუმის საქალაქო სასამართლოში ირაკლი ჭინჭარაძის სახელით სარჩელს წარადგენს

2021 წლის 13 მაისს, საია, ირაკლი ჭინჭარაძის სახელით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელს წარადგენს. სარჩელით მოთხოვნილია ირაკლი ჭინჭარაძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. ამასთან, ირაკლი ჭინჭარაძე ასევე ითხოვს, სასამართლომ დაადგინოს მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია განსხვავებული შეხედულებების გამო.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ირაკლი ჭინჭარაძე სსიპ „ბათუმის ბუღვარის“ ყოფილი დირექტორია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის განკარგულებით, ის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, სახელმწიფო აუდიტის 2020 წლის 4 ნოემბრის ანგარიშში აღმოჩენილი დარღვევების საფუძველით. საყურადღებოა, რომ გათავისუფლების განკარგულების მიღებას, წინ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უსწრებდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის სხდომა, სადაც ირავლი ჭინჭარაძემ გააკრიტიკა დაახლოებით 4500 კვ/მ ფართობის პლაჟის ბრენდირებული სასტუმროებისთვის გრძელვადიანი იჯარით გადაცემის ინიციატივა, ვინაიდან ამით ხსენებული სანაპირო მონაკვეთი აღარ იქნებოდა ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლებისთვის. სხდომის დასრულებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ ის გამოაძევა დარბაზიდან. წარდგენილ სარჩელში მოსარჩელე ასაბუთებს, რომ მისი გათავისუფლება დაუსაბუთებლად, დისკრიმინაციული საფუძვლით განხორციელდა.